<p style="text-align: center;">პროგრამის აღწერა</p>	<p>ახალგაზრდული მიმართულებით განხორციელებული ღონისძიებები ხელს შეუწყობს ახალგაზრდების გააქტიურებასა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართულობას, ახალგაზრდული ფესტივალის ორგანიზებითა და ინიციატივების მხარდაჭერის გზით. ქვეპროგრამის ფარგლებში მოხდება შშმ პირების საზოგადოებაში ინტეგრირება.</p> <p>ქვეყნის დემოკრატიული და სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისთვის ახალგაზრდობა მნიშვნელოვან ფასეულობას წარმოადგენს. რაც ქმნის იმის საჭიროებას, რომ ადგილობრივ დონეზე, განხორციელდეს მათი მხარდაჭერა და განვითარების ხელშეწყობა.</p> <p>თანამედროვე სამყაროში ახალგაზრდები უამრავი გამოწვევის წინაშე დგანან, სწრაფად ცვალებადი გარემო და ტექნოლოგიების განვითარება, განსაკუთრებით მაღალ მოთხოვნებს უყენებენ ახალგაზრდებს. ამიტომ, სახელმწიფოს მხრიდან გარდა ფორმალურისა, საჭიროა არსებობდეს ხელმისაწვდომი არაფორმალური საგანმანათლებლო პროგრამები იმისთვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს ახალგაზრდების სრულყოფილი განვითარების შესაძლებლობები.</p> <p>საქართველოს პარლამენტის 2020 წლის 17 ივლისის №7054 დადგენილების „2020–2030 წლებისთვის საქართველოს ახალგაზრდული პოლიტიკის კონცეფცია“, თანახმად, ადგილობრივმა ხელისუფლებამ თავისი კომპეტენციის ფარგლებში, ხელი უნდა შეუწყოს კონცეფციით განსაზღვრული სტრატეგიული პრიორიტეტების განხორციელებას, აგრეთვე მუნიციპალიტეტების დონეზე ახალგაზრდული პოლიტიკის განხორციელებას.</p> <p>პროგრამის მიზანია ახალგაზრდობის მხარდაჭერა, რომელიც გულისხმობს საზოგადოებრივ ცხოვრებაში ბავშვებისა და ახალგაზრდების თვითრეალიზაციის შესაძლებლობას. პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება სხვადასხვა პროექტები:</p> <ul style="list-style-type: none"> • რა? სად? როდის? • შშმ პირებისთვის საჩუქარი; • ახალგაზრდული ინიციატივების დაფინანსება; <p>ქვეპროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის ახალგაზრდების მიერ წარმოდგენილი სხვადასხვა პროექტის ფინანსური მხარდაჭერა, თავისუფალი დროის ეფექტურად და შინაარსიანად ხარჯვის ორგანიზება, მუნიციპალიტეტის ახალგაზრდობის ინტელექტუალური, ფიზიკური და სულიერი პოტენციალის გამოვლენა, ინოვაციური იდეების მქონე საინიციატივო ჯგუფების ხელშეწყობა.</p>
<p style="text-align: center;">პროგრამის მიზანი</p>	<p>მუნიციპალიტეტის ახალგაზრდების მიერ წარმოდგენილი სხვადასხვა პროექტის ფინანსური მხარდაჭერა, თავისუფალი დროის ეფექტურად და შინაარსიანად ხარჯვის ორგანიზება, მუნიციპალიტეტის ახალგაზრდობის ინტელექტუალური, ფიზიკური და სულიერი პოტენციალის გამოვლენა, ინოვაციური იდეების მქონე საინიციატივო ჯგუფების ხელშეწყობა.</p> <p>მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოზარდებისა და ახალგაზრდების განვითარების ხელშეწყობა.</p>
<p>გაეროს მდგრადი განვითარების „SDG“ მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა</p>	<p>მე-3;</p>
<p>პროგრამის განხორციელების ვადები</p>	<p>მიმდინარე</p>
<p>პროგრამის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი</p>	<p>მუნიციპალიტეტის შემოქმედებით ცხოვრებაში ჩართულია ახალგაზრდები.</p>
<p>№ შედეგის შეფასების ინდიკატორი</p>	<p style="text-align: center;">ინდიკატორის მაჩვენებლები</p>

		ინდიკატორის დადასტურების საშუალება	საბაზისო 2023 წელი	მიზნობრივი 2024 წელი	მიზნობრივი 2025 წელი	მიზნობრივი 2026 წელი	მიზნობრივი 2027 წელი	ცდომილების ალბათობა	შესაძლო რისკები
1	ჩატარებული ახალგაზრდული ღონისძიებები		4	10	არანაკლებ მიზნობრივ მაჩვენებლისა	არანაკლებ მიზნობრივ მაჩვენებლისა	არანაკლებ მიზნობრივ მაჩვენებლისა	10%	
2	დამსწრეთა რაოდენობა		2500	4000	არანაკლებ მიზნობრივ მაჩვენებლისა	არანაკლებ მიზნობრივ მაჩვენებლისა	არანაკლებ მიზნობრივ მაჩვენებლისა	10%	

6. პრიორიტეტი – მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა (06 00)

პროგრამული კოდი	წყალტუბოს მუნიციპალიტეტი	2024 წლის ბიუჯეტის პროგნოზი			2025 წლის პროგნოზი	2026 წლის პროგნოზი	2027 წლის პროგნოზი
		სულ	მათ შორის				
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები			
06 00	მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	3,168.1	269.0	2,899.1	3,313.0	3,492.0	3,625.0
06 01	ჯანმრთელობის დაცვა	191.0	191.0	0.0	188.0	200.0	210.0
06 01 01	საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა	191.0	191.0	0.0	188.0	200.0	210.0
06 02	სოციალური პროგრამები	2,977.1	78.0	2,899.1	3,125.0	3,292.0	3,415.0
06 02 01	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სათნოების სახლი	463.1	0.0	463.1	465.0	470.0	480.0
06 02 02	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ დღევრძელ პირთა დახმარება	3.0	0.0	3.0	3.0	3.0	3.0
06 02 03	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ოჯახების მატერიალური წახალისება დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის	130.0	0.0	130.0	130.0	135.0	135.0
06 02 04	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ მოქალაქეთა სარიტუალო ხარჯი	20.0	20.0	0.0	15.0	15.0	15.0
06 02 05	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ მოქალაქეების ერთჯერადი ფულადი დახმარება	805.0	0.0	805.0	855.0	905.0	905.0
06 02 06	ბავშვთა ინკლუზიური ცენტრი	241.0	0.0	241.0	245.0	247.0	255.0
06 02 07	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოქალაქეების სამედიცინო დახმარების	700.0	0.0	700.0	750.0	800.0	850.0

	თანადაფინანსება						
06 02 08	სტიქიის, ხანძრის შედეგად დაზარალებულ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ მოქალაქეების დახმარება	150.0	0.0	150.0	155.0	160.0	165.0
06 02 09	გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა	7.0	0.0	7.0	7.0	7.0	7.0
06 02 10	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის ინდივიდუალური სახლების მშენებლობის ან/და შექმნა	400.0	0.0	400.0	400.0	450.0	500.0
06 02 11	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვიანი ოჯახების დახმარება	58.0	58.0	0.0	100.0	100.0	100.0

ქვეპროგრამის დასახელება	საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა
პროგრამული კოდი	06 01 01
ქვეპროგრამის ბიუჯეტი	191,0
ფუნქციონალური კოდი	7104
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი
ქვეპროგრამის აღწერა	<p>ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება მოსახლეობისთვის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის სერვისების მიწოდება და უსაფრთხო საცხოვრებელი გარემოს უზრუნველყოფა, გადამდებ დაავადებათა ეპიდზედამხედველობა და კონტროლი, პირველადი ეპიდკვლევის განხორციელება, საზოგადოებისათვის მნიშვნელოვან ობიექტებში სანიტარულ - ჰიგიენურ მდგომარეობაზე ზედამხედველობა.</p> <p>ეპიდსაწინააღმდეგო ღონისძიებების დაგეგმვა, ანტირაბიულ კაბინეტზე მეთვალყურეობა და სისტემური მონიტორინგი, პარაზიტული და ჰელმინთური დაავადებების სკრინინგული კვლევა; ცხოვრების ჯანსაღი წესის გატარება; სამედიცინო სტატისტიკის მონიტორინგი; იმუნური პროფილაქტიკის დაგეგმვა და მასზე ანგარიშგება დადგენილი წესის მიხედვით; ცივი ჯაჭვის ფუნქციონირების უზრუნველყოფა; ყოველთვიური</p>

		<p>მონიტორინგი პირველადი ჯანდაცვის რეგიონებში; COVID-19-ის ტესტირება დაავადებულების მოკვლევა დადგენილი წესის მიხედვით; C ჰეპატიტის სკრინინგი და დადებით შემთხვევაში მკურნალობა.</p> <p>სულ საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრში დასაქმებულია 15 თანამშრომელი (ქალი - 14, კაცი - 1).</p>							
ქვეპროგრამის მიზანი		მეთვალყურეობა მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობაზე, ჯანმრთელობის რისკებისა და საგანგებო სიტუაციების მონიტორინგი და რეაგირება;							
გაეროს მდგრადი განვითარების „SDG“ მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა		მე-3;							
ქვეპროგრამის განხორციელების ვადები		მიმდინარე							
ქვეპროგრამის მოსალოდნელი შუალედური შედეგი		მოსახლეობის ჯანმრთელობის შენარჩუნება და საგანგებო სიტუაციების ლოკალიზება							
№	შედეგის შეფასების ინდიკატორი	ინდიკატორის მაჩვენებლები							
		ინდიკატორის დადასტურების საშუალება	საბაზისო 2023 წელი	მიზნობრივი 2024 წელი	მიზნობრივი 2025 წელი	მიზნობრივი 2026 წელი	მიზნობრივი 2027 წელი	ცდომილების ალბათობა	შესაძლო რისკები
1	გამოჯანმრთელებული ადამიანების რაოდენობა	შესაბამისი დოკუმენტაცია	15839	15905	არანაკლებ საბაზისო მაჩვენებლის რაოდენობის	არანაკლებ საბაზისო მაჩვენებლის რაოდენობის	არანაკლებ საბაზისო მაჩვენებლის რაოდენობის	10%	მომართვიანობა და სხვ.
2	ჩატარებული აცრების რაოდენობა	შესაბამისი დოკუმენტაცია	3654	3700	არანაკლებ საბაზისო მაჩვენებლის რაოდენობის	არანაკლებ საბაზისო მაჩვენებლის რაოდენობის	არანაკლებ საბაზისო მაჩვენებლის რაოდენობის	10%	მომართვიანობა და სხვ.

ქვეპროგრამის დასახელება	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სათნოების სახლი
პროგრამული კოდი	06 02 01
ქვეპროგრამის ბიუჯეტი	463,1
ფუნქციონალური კოდი	7109
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სათნოების სახლი
ქვეპროგრამის აღწერა	ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ა(ა)იპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სათნოების სახლის დაფინანსება, კერძოდ სოციალურად დაუცველი და შეჭირვებული მოსახლეობის საინფორმაციო ბაზის შექმნა და მათი უზრუნველყოფა კვებით.

	მიმდინარე პერიოდისთვის პროგრამით სარგებლობს 200 ბენეფიციარი (მათ შორის 133 ქალი და 67 კაცი). იგეგმება 20 ბენეფიციარის დამატება. სულ სათნოების სახლში დასაქმებულია 10 თანამშრომელი (ქალი - 7, კაცი - 3). ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება შინ მიტანის სერვისი, რომელიც დაინერგა 2020 წლიდან.
ქვეპროგრამის მიზანი	სოციალურად დაუცველი მოსახლეობის კვებით უზრუნველყოფა. შექირვებულ მდგომარეობაში მყოფი პირების თანადგომა
გაეროს მდგრადი განვითარების „SDG“ მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა	მე-3; მე-2 მიზანი
ქვეპროგრამის განხორციელების ვადები	მიმდინარე
ქვეპროგრამის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	შექირვებულ მდგომარეობაში მყოფი პირები უზრუნველყოფილნი არიან ყოველდღიური უფასო კვებით

№	შედეგის შეფასების ინდიკატორი	ინდიკატორის მაჩვენებლები							
		ინდიკატორის დადასტურების საშუალება	საბაზისო 2023 წელი	მიზნობრივი 2024 წელი	მიზნობრივი 2025 წელი	მიზნობრივი 2026 წელი	მიზნობრივი 2027 წელი	ცდომილების ალბათობა	შესაძლო რისკები
1	ბენეფიციართა რაოდენობა	შესაბამისი დოკუმენტაციის საშუალება	200	220	არანაკლებ საბაზისო მაჩვენებლის რაოდენობის	არანაკლებ საბაზისო მაჩვენებლის რაოდენობის	არანაკლებ საბაზისო მაჩვენებლის რაოდენობის	2	მომართვიანობა და სხვ.

ქვეპროგრამის დასახელება	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ დღეგრძელ პირთა დახმარება
პროგრამული კოდი	06 02 02
ქვეპროგრამის ბიუჯეტი	3,0
ფუნქციონალური კოდი	7102
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	<i>წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია (ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური)</i>
ქვეპროგრამის აღწერა	ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ დღეგრძელ პირთა (100 და მეტი წლის ასაკის) მატერიალური დახმარება, თითოეულზე 1000 ლარის ოდენობით. თანხა გაიცემა ყველა იმ ბენეფიციარზე, რომელსაც საბიუჯეტო წლის განმავლობაში შეუსრულდა ან მისი ასაკი აღემატება 100 წელს.
ქვეპროგრამის მიზანი	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ხანდაზმული მოქალაქეების თანადგომა და მხარდაჭერა,

გაეროს მდგრადი განვითარების „SDG“ მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა		მე-3;							
ქვეპროგრამის განხორციელების ვადები		მიმდინარე							
ქვეპროგრამის მოსალოდნელი შუალედური შედეგი		ასი და მეტი წლის უზუცესები უზრუნველყოფილი არიან ფინანსური დახმარებით							
№	შედეგის შეფასების ინდიკატორი	ინდიკატორის მაჩვენებლები							
		ინდიკატორის დადასტურების საშუალება	საბაზისო 2023 წელი	მიზნობრივი 2024 წელი	მიზნობრივი 2025 წელი	მიზნობრივი 2026 წელი	მიზნობრივი 2027 წელი	ცდომილების ალბათობა	შესაძლო რისკები
1	ბენეფიციართა რაოდენობა	შესაბამისი დოკუმენტაციას	3	3	არანაკლებ საბაზისო მაჩვენებლის რაოდენობის	არანაკლებ საბაზისო მაჩვენებლის რაოდენობის	არანაკლებ საბაზისო მაჩვენებლის რაოდენობის	1%	მომართვიანობა და სხვ.

ქვეპროგრამის დასახელება	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ოჯახების მატერიალური წახალისება დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის
პროგრამული კოდი	06 02 03
ქვეპროგრამის ბიუჯეტი	130,0
ფუნქციონალური კოდი	7104
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	<i>წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია (ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური)</i>
ქვეპროგრამის აღწერა	ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის (წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მშობლები) ერთჯერადი ფულადი დახმარება: ა) მესამე შვილის შეძენისას – 500 ლარი, ბ) მეოთხე შვილის შეძენისას – 700 ლარი, გ) მეხუთე და მეტი შვილის შეძენისას – 1000 ლარი, დ) ერთი და მეტი ტყუპის შეძენისას - 500 ლარი; ე) სოციალურად დაუცველ ოჯახზე (სოციალური მომსახურების სააგენტოს მონაცემთა ერთიან ბაზაში 0-დან 65000-ი ქულის ჩათვლით რეგისტრირებულ), რომელთაც ყავთ 18 წლამდე ასაკის 3 და მეტი შვილი გაიცეს ერთჯერადად 300 ლარი. ამ სოციალური პროგრამის ა, ბ, გ, დ, ქვეპუნქტები ვრცელდება იმ ოჯახებზეც, რომელთა შვილები დაიბადა 2023 წლის დეკემბერში და არა აქვთ მიღებული ერთჯერადი დახმარება.
ქვეპროგრამის მიზანი	მრავალშვილიანი ოჯახებისათვის სოციალური გარანტიების შექმნა, მათი თანადგომა და მხარდაჭერა.
გაეროს მდგრადი განვითარების „SDG“ მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა	მე-3;
ქვეპროგრამის განხორციელების ვადები	მიმდინარე

ქვეპროგრამის მოსალოდნელი შუალედური შედეგი				ფინანსური ხელმისაწვდომობის გაზრდის გზით მუნიციპალიტეტში დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესებულია					
№	შედეგის შეფასების ინდიკატორი	ინდიკატორის მაჩვენებლები							
		ინდიკატორის დადასტურების საშუალება	საბაზისო 2023 წელი	მიზნობრივი 2024 წელი	მიზნობრივი 2025 წელი	მიზნობრივი 2026 წელი	მიზნობრივი 2027 წელი	ცდომილების ალბათობა	შესაძლო რისკები
1	ბენეფიციართა რაოდენობა	შესაბამისი დოკუმენტაციას	200	250	არანაკლებ საბაზისო მაჩვენებლის რაოდენობის	არანაკლებ საბაზისო მაჩვენებლის რაოდენობის	არანაკლებ საბაზისო მაჩვენებლის რაოდენობის	20	მომართვიანობა და სხვ.

ქვეპროგრამის დასახელება		მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ მოქალაქეთა სარიტუალო ხარჯი	
პროგრამული კოდი		06 02 04	
ქვეპროგრამის ბიუჯეტი		20,0	
ფუნქციონალური კოდი		7109	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი		<i>წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია (ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური)</i>	
ქვეპროგრამის აღწერა		<p>ქვეპროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ იძულებით გადაადგილებულ პირთა, სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდგომ გარდაცვლილ მეომართა ოჯახების დაკრძალვის ხარჯების ნაწილობრივ ასანაზღაურებლად გათვალისწინებულია 250 ლარი, ხოლო უჭირისუფლო გარდაცვლილის დაკრძალვის ხარჯის ნაწილობრივი ანაზღაურების მიზნით 400 ლარის ოდენობით.</p> <p>ასევე გათვალისწინებულია დახმარება ახალი კორონავირუსის ინფექციით გარდაცვლილ პირთა, სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის, რომელთა სარეიტონგო ქულა მონაცემთა ერთიან ბაზაში განსაზღვრულია 0–დან 65 000–ის ჩათვლით, თითოეულზე 400 ლარის ოდენობით.</p>	
ქვეპროგრამის მიზანი		გარდაცვლილ მოქალაქეთა პატივგება	
გაეროს მდგრადი განვითარების „SDG“ მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა		მე-3;	
ქვეპროგრამის განხორციელების ვადები		მიმდინარე	
ქვეპროგრამის მოსალოდნელი შუალედური შედეგი		სარიტუალო მომსახურებით უზრუნველყოფილი ბენეფიციარი	
№	შედეგის შეფასების ინდიკატორი	ინდიკატორის მაჩვენებლები	

		ინდიკატორის დადასტურების საშუალება	საბაზისო 2023 წელი	მიზნობრივი 2024 წელი	მიზნობრივი 2025 წელი	მიზნობრივი 2026 წელი	მიზნობრივი 2027 წელი	ცდომილების ალბათობა	შესაძლო რისკები
1	ბენეფიციართა რაოდენობა	შესაბამისი დოკუმენტაციას	25	30	არანაკლებ საბაზისო მაჩვენებლის რაოდენობის	არანაკლებ საბაზისო მაჩვენებლის რაოდენობის	არანაკლებ საბაზისო მაჩვენებლის რაოდენობის	5	მომართვიანობა და სხვ.

ქვეპროგრამის დასახელება	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ მოქალაქეთა ერთჯერადი ფულადი დახმარება
პროგრამული კოდი	06 02 05
ქვეპროგრამის ბიუჯეტი	805,0
ფუნქციონალური კოდი	7109
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	<i>წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია (ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური)</i>
ქვეპროგრამის აღწერა	<p>აღნიშნული ქვეპროგრამის ფარგლებში წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოქალაქეების ერთჯერადი დახმარება განისაზღვრება შემდეგ კატეგორიებზე:</p> <p>ა) დიდი სამამულო ომის მონაწილის დახმარება –1 000 ლარი;</p> <p>ბ) ჩერნობილის ატომური ელექტროსადგურის სალიკვიდაციო სამუშაოებში მონაწილე პირის დახმარება – 350 ლარი;</p> <p>გ) დედ-მამით ობოლი ბავშვის დახმარება – კვარტალში ერთხელ 400 ლარი;</p> <p>დ) ცერებრალური დამბლით დაავადებულ პირის დახმარება – 500 ლარი;</p> <p>ე) ა(ა)იპ „სათნობის სახლის“ ბენეფიციარის დახმარება სააღდგომოდ 100 ლარი და საახალწლოდ 100 ლარი.</p> <p>ვ) მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის დახმარება, რომელსაც სტატუსი მიენიჭა თვალის დაავადების დიაგნოზით – 400 ლარი;</p> <p>ზ) თირკმლის ჩანაცვლებით თერაპიაზე: ჰემოდიალიზზე და პერიტონეულ დიალიზზე დამოკიდებულ მოქალაქის დახმარება –2000 ლარი;</p> <p>თ) შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვის დახმარება, გარდა ცერებრალური დამბლით დაავადებული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვისა - 300 ლარი;</p> <p>ი) საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლის მონაწილის, სახელმწიფო გასაცემლის (კონპესაცია, საპენსიო პაკეტი, საყოფაცხოვრებო სუბსიდია) მიმღების დახმარება 350 - ლარი;</p> <p>კ) სხვა სახელმწიფო ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლი ომის მონაწილის დახმარება თითოეულს - 350 ლარი.</p> <p>ლ) 2008 წლის 8 აგვისტოს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის საომარი მოქმედებების დროს დაღუპული მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული პირის ოჯახის (ოჯახის წევრის რეგისტრაციის ადგილის მიუხედავად) ფულადი დახმარება - 1800 ლარი;</p> <p>მ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკარო ოჯახის, პირის</p>

(საცხოვრებელი სახლი დაინგრა, დაიწვა ან საცხოვრებლად უვარგისი, ავარიული ან სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში გახდა სტიქიური უბედურების, უბედური შემთხვევის ან სხვა გარემოების გამო დარჩა უსახლკაროდ და არ გააჩნია ალტერნატიული საცხოვრებელი ფართი) დროებითი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის მიზნით ბინის ქირის ასანაზღაურებელი თანხის გაცემა თვეში არაუმეტეს 250 ლარისა

ნ) ოჯახში ძალადობის შედეგად უსახლკაროდ დარჩენილი მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სტატუსის მქონე პირის (პირთა) დროებითი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის მიზნით ბინის ქირის ასანაზღაურებელი თანხის გაცემა თვეში არაუმეტეს 250 ლარისა

ო) ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სტატუსის მქონე პირის დახმარება (გინეკოლოგის ან / და რეპროდუქტოლოგის დახმარება კონსულტაცია ან / და შესაბამისი სამედიცინო კვლევები) არაუმეტეს 200 ლარი.

პ) 2024-2025 სასწავლო წლის დაწყებასთან დაკავშირებით ა(ა)იპ სარეაბილიტაციო ცენტრი „ჩვენი სახლის“ ბენეფიციარი ბავშვის დახმარება 150 ლარის ოდენობით.

ჟ) სოციალურად დაუცველ ოჯახის, რომელიც სოციალური მომსახურების სააგენტოს მონაცემთა ერთიან ბაზაში დარეგისტრირებულია 0-დან 65 000 - ი ქულის ჩათვლით, პირველ და მეორე ახალშობილზე ერთჯერადი დახმარება - 300 ლარი.

რ) სადღესასწაულოდ (ადღგომა) სოციალურად დაუცველ ოჯახზე (სოციალური მომსახურების სააგენტოს მონაცემთა ერთიან ბაზაში 0-დან 65000-მდე ქულის ჩათვლით რეგისტრირებული), რომელთაც ყავთ 18 წლამდე ასაკის 3 და მეტი შვილი, დედ-მამით ობოლი ბავშვის, 100 წელს გადაცილებული პირის, მეორე მსოფლიო ომის მონაწილე ვეტერანის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების და სხვა მიმე-სოციალურ ეკონომიურ მდგომარეობაში მყოფი ოჯახების კვების პროდუქტებით დახმარება, თითოეულ ოჯახს არაუმეტეს 80 ლარის ღირებულებისა.

ს) ონკოლოგიური დაავადების მქონე 18 წლამდე ბავშვის (ლეიკემია, ლიმფოგრანულომატოზი, ანემია, სხვადასხვა სახის სიმსივნეები) დახმარება - 1500 ლარი

ტ)) ფენილკეტონურიით დაავადებულ პირთა დახმარება - 1500 ლარი.

უ) მარტოხელა მშობლის სტატუსის მქონე პირის დახმარება -300 ლარი.

ფ) ფსორიოზით დაავადებულ პირთა დახმარება -400 ლარი.

ქ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული სახელმწიფო ზრუნვის სისტემიდან კერძოდ კი მინდობით აღზრდიდან ან მცირე საოჯახო სახლებიდან სრულწლოვნობის მიღწევის გამო ამორიცხული ახალგაზრდების (18-21წელი) ბინის ქირით უზრუნველყოფა საცხოვრებლის არარსებობის შემთხვევაში - ყოველთვიურად არაუმეტეს 250 ლარისა

ღ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული სტუდენტების სწავლის საფასურის თანადაფინანსება, რომლებიც სწავლობენ ავტორიზებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში და მათი სოციალური მდგომარეობა მიმეა მშობლების გარდაცვალების, ან/და უგვზოუკვლოდ დაკარგვის, გამო. სტუდენტების თანადაფინანსება განისაზღვროს გადასახდელი თანხის 50% არაუმეტეს 2000 ლარისა.

ამავე ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდებიან წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სტუდენტები, თანადაფინანსება განისაზღვრება გადასახდელი თანხის 50%-ით არაუმეტეს 2000 ლარისა.

ყ) სპეციალიზირებულ დაწესებულებიდან (მათ შორის მინდობით აღზრდიდან) ბიოლოგიურ ოჯახში, მეურვესთან / მზრუნველთან საცხოვრებლად

	<p>დაბრუნებულ თითოეულ ბავშვს, ოჯახის გაძლიერების მიზნით, განესაზღვროთ დახმარება წელიწადში ორჯერ, ექვს თვეში ერთხელ 250 ლარი, წელიწადში 500 ლარი.</p> <p>შ) პარკისონით დაავადებულ პირთა დახმარება -400 ლარი</p> <p>ჩ) კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ბავშვიანი ოჯახების გაძლიერებისა და დახმარების ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდებიან წყალტუბოს მუნიციპალიტეტში მცხოვრები ბავშვიანი ოჯახები, რომლებიც იმყოფებიან კრიზისულ ვითარებაში და/ან საჭიროებენ დახმარებას. აღნიშნული ქვეპროგრამიდან თითოეულ ოჯახზე გასაცემი თანხის ოდენობა არ აღემატება 2000 ლარს. გასაცემი თანხის ზუსტ ოდენობას განსაზღვრავს შემდგომში „სოციალური ღონისძიებების დაფინანსების განმსაზღვრელი კომისია“.</p> <p>ც) შშმ 18 წლამდე სმენადაქვეითებული ბავშვებისათვის სასმენი აპარატის შეძენა, თანხის ოდენობა განისაზღვრება არაუმეტეს 1500 ლარისა.</p> <p>ამ სოციალური პროგრამის ცალკეული ქვეპუნქტების ერთობლივად დადგომის შემთხვევაში თითოეული დახმარება გაიცემა ქვეპროგრამაში გათვალისწინებული შესაბამის მოცულობათა ერთობლიობით.</p>
ქვეპროგრამის მიზანი	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოსახლეობისათვის სხვადასხვა სოციალური სერვისების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება.
გაეროს მდგრადი განვითარების „SDG“ მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა	მე-3 ;
ქვეპროგრამის განხორციელების ვადები	მიმდინარე
ქვეპროგრამის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	ბენეფიციარი პირების მატერიალური თანადგომით ფინანსური მდგომარეობა გაუმჯობესებულია.

№	შედეგის შეფასების ინდიკატორი	ინდიკატორის მაჩვენებლები							
		ინდიკატორის დადასტურების საშუალება	საბაზისო 2023 წელი	მიზნობრივი 2024 წელი	მიზნობრივი 2025 წელი	მიზნობრივი 2026 წელი	მიზნობრივი 2027 წელი	ცდომილების ალბათობა	შესაძლო რისკები
1	ბენეფიციართა რაოდენობა	შესაბამისი დოკუმენტაცი	1733	1900	არანაკლებ საბაზისო მაჩვენებლის რაოდენობის	არანაკლებ საბაზისო მაჩვენებლის რაოდენობის	არანაკლებ საბაზისო მაჩვენებლის რაოდენობის	50	მომართვიანობა და სხვ.

ქვეპროგრამის დასახელება	ბავშვთა ინკლუზიური ცენტრი
პროგრამული კოდი	06 02 06
ქვეპროგრამის ბიუჯეტი	241,0
ფუნქციონალური კოდი	7101
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)პ ბავშვთა ინკლუზიური ცენტრი
ქვეპროგრამის აღწერა	ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული 0-დან 18 წლამდე შშმ პირის სტატუსის მქონე ბენეფიციარების (უნარშეზღუდულ ბავშვთა) ზრდა - განვითარების ხელშეწყობას, მათი იზოლაციიდან გამოყვანასა და საზოგადოებასთან ინტეგრაციას. სულ

		ინკლუზიური ცენტრში დასაქმებულია 18 თანამშრომელი (ქალი - 12, კაცი - 6). ა(ა)იპ ბავშვთა ინკლუზიური ცენტრში-ში არსებული სერვისებით დღეის მდგომარეობით 15 ბენეფიციარი (მათ შორის: 5 გოგო და 10 ბიჭი) სარგებლობს.							
ქვეპროგრამის მიზანი		შშმ პირის საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა.							
გაეროს მდგრადი განვითარების „SDG“ მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა		მე-3 ; მე-5							
ქვეპროგრამის განხორციელების ვადები		მიმდინარე							
ქვეპროგრამის მოსალოდნელი შუალედური შედეგი		უზრუნველყოფილია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული 0-დან 18 წლამდე შშმ პირის სტატუსის მქონე ბენეფიციარების (უნარშეზღუდულ ბავშვთა) ზრდა - განვითარების ხელშეწყობა და საზოგადოებაში ინტეგრაცია.							
№	შედეგის შეფასების ინდიკატორი	ინდიკატორის მაჩვენებლები							
		ინდიკატორის დადასტურების საშუალება	საბაზისო 2023 წელი	მიზნობრივი 2024 წელი	მიზნობრივი 2025 წელი	მიზნობრივი 2026 წელი	მიზნობრივი 2027 წელი	ცდომილების ალბათობა	შესაძლო რისკები
1	ბენეფიციართა რაოდენობა	შესაბამისი დოკუმენტაციის	15	17	არანაკლებ საბაზისო მაჩვენებლის რაოდენობის	არანაკლებ საბაზისო მაჩვენებლის რაოდენობის	არანაკლებ საბაზისო მაჩვენებლის რაოდენობის	2	მომართვიანობა და სხვ.

ქვეპროგრამის დასახელება	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოქალაქეების სამედიცინო დახმარების თანადაფინანსება
პროგრამული კოდი	06 02 07
ქვეპროგრამის ბიუჯეტი	700,0
ფუნქციონალური კოდი	7109
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	<i>წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია (ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური)</i>
ქვეპროგრამის აღწერა	ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოქალაქეების სამედიცინო მომსახურების გეგმიური და გადაუდებელი სტაციონალური ქირურგიული ოპერაციები, მათ შორის თვალის კოსმეტიკური სახის ან ცხვირის რინოპლასტიკის რეკონსტრუქციული ფორმის ოპერაციები, (სამედიცინო ჩვენებით), სხვა სამედიცინო მომსახურება-იოდოთერაპია, რადიოსიხშირული აბლაცია, ლითოტრიფსია, ქიმიო, ჰორმონო, სხვიური თერაპია და სხვა. ლაბორატორიულ-ინსტრუმენტული და სხვა სახის კვლევები, რომელიც არ ანაზღაურდება სადაზღვეო

პოლისით ან არ არის გათვალისწინებული საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით. სამედიცინო მომსახურების ღირებულება თანადაფინანსების წესით, ანაზღაურდება წელიწადში ერთხელ, რომელიც განისაზღვრება საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით ან სხვა გზით გათვალისწინებული დაფინანსების გამოკლების შემდეგ დარჩენილი პაციენტის მიერ გადასახდელი თანხის 50%-ით არაუმეტეს -1000 ლარისა.

ონკოლოგიური დავადების მქონე პირების მკურნალობა-ოპერაციების,სამედიცინო კვლევების, ქიმოთერაპიის და სხვა. პროცედურების თანადაფინანსებისათვის საგარანტიო წერილი გაიცემა წელიწადში ორჯერ ზემოთ აღნიშნული თანადაფინანსების წესით.

ქვეპროგრამით დაფინანსდებიან სხვადასხვა დაავადების მქონე 18 წლამდე ბავშვები, რომელთა აუცილებელი სამედიცინო მომსახურება ვერ ხერხდება საქართველოს სამკურნალო დაწესებულებებში და ნაწილობრივ დაფინანსებულია საქართველოს შრომის,ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შესაბამისი პროგრამებით. მუნიციპალიტეტის მხრიდან მატერიალური დახმარების სახით გაიცემა თანხა 5000 ლარის ოდენობით.

ქვეპროგრამით მოსარგებლები არიან ასევე 2 წლიდან 15 წლის ასაკის ჩათვლით წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ბავშვები, რომლებსაც გააჩნიათ დაავადებათა საერთაშორისო კლასიფიკატორის (ICD-10) განვითარების ზოგადი აშლილობების (F84.0 - F84.9) ჯგუფის დიაგნოზი ძირითად დიაგნოზად:

- ა) F84.0 ბავშვთა აუტიზმი.
- ბ) F84.1 ატიპიური აუტიზმი.
- გ) F84.2 რეტის სინდრომი.
- დ) F84.3 ბავშვთა სხვა დეზინტეგრაციული აშლილობა.
- ე) F84.4 ჰიპერაქტიური აშლილობა თანმხლები გონებრივი ჩამორჩენილობით და სტერეოტიპული მოძრაობებით.
- ვ) F84.5 ასპერგერის სინდრომი.
- ზ) F84.8 განვითარების სხვა ზოგადი აშლილობანი.
- თ) F84.9 განვითარების ზოგადი აშლილობა დაუზუსტებელი.

ასევე დაფინანსდებიან 2-15 წლამდე ასაკის ბავშვები სხვა გონებრივი ჩამორჩენილობით (F-78.0-78.9) რომელთაც ძირითად დიაგნოზად განესაზღვრათ:

- ა) F78.0 სხვა გონებრივი ჩამორჩენილობა.ქცევის აშლილობა არ არსებობს ან მინიმალურია.
- ბ) F78.1 სხვა გონებრივი ჩამორჩენილობა.არსებობს ქცევის მნიშვნელოვანი აშლილობა, რომელიც მოითხოვს ყურადღებას და მკურნალობას.
- გ) F78.8 სხვა გონებრივი ჩამორჩენილობა. სხვა ქცევითი აშლილობანი.
- დ)F78.9 სხვა გონებრივი ჩამორჩენილობა. განუსაზღვრელი ქცევითი აშლილობა.

პროგრამით გათვალისწინებული მომსახურება ფინანსდება ყოველთვიურად ფაქტობრივი ხარჯის მიხედვით, მაგრამ არაუმეტეს თვეში 420 ლარისა.

		<p>ქვეპროგრამის ფარგლებში ასევე მედიკამენტების შესაძენად დაფინანსდებიან განსაკუთრებით მძიმე და საშიში დაავადების მქონე პირები. თანხის ოდენობას განსაზღვრავს შემდგომში ამ კუთხით შექმნილი „სოციალური ღონისძიებების დაფინანსების განმსაზღვრელი კომისია“.</p> <p>ქვეპროგრამის ფარგლებში ასევე მოხდება წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული 0-დან 18 წლამდე ასაკის ბავშვების სტაციონლური მკურნალობის თანადაფინანსება, რომელიც განისაზღვრება საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით ან სხვა გზით გათვალისწინებული დაფინანსების გამოკლების შემდეგ დარჩენილი პაციენტის მიერ გადასახდელი თანხის 50%-ით არაუმეტეს -200 ლარისა.</p> <p>ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება ბავშვთა ადრეული განვითარების სპეციალისტების ტრანსპორტირების ხარჯები, რომელიც ბავშვისთვის ბუნებრივ გარემოში (სახლი, ბაღი,და აშ) განახორციელებს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 0-დან 7 წლამდე ბავშვთა ადრეული განვითარების მხარდაჭერის პროგრამის მიწოდებას, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ბავშვებისათვის. ტრანსპორტირების ხარჯების ანაზღაურება მოხდება თვეში ერთხელ არაუმეტეს 450 (ოთხასორმოცდაათი) ლარისა, შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ პროგრამის განმახორციელებელი ორგანიზაციის ანგარიშზე.</p>							
ქვეპროგრამის მიზანი		<p>მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოქალაქეების სამედიცინო ხარჯების ნაწილობრივი დაფინანსება და პრევენციის შედეგად გაუმჯობესებული ჯანმრთელობა.</p> <p>ადრეული ინტერვენციის მომსახურების მიწოდებით ხელი შეუწყოს შეზღუდული შესაძლებლობის, განვითარების დარღვევის ან ასეთი რისკის მქონე ბავშვების განვითარების სტიმულირებას, სოციალური ინტეგრაციის ხელშეწყობას, შესაძლებლობის შეზღუდვისა და მიტოვების პრევენციას.</p>							
გაეროს მდგრადი განვითარების „SDG“ მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა		მე-3;							
ქვეპროგრამის განხორციელების ვადები		მიმდინარე							
ქვეპროგრამის მოსალოდნელი შუალედური შედეგი		პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარების თანადგომა და გაუმჯობესებული ჯანმრთელობა							
№	შედეგის შეფასების ინდიკატორი	ინდიკატორის მაჩვენებლები							
		ინდიკატორის დადასტურების საშუალება	საბაზისო 2023 წელი	მიზნობრივი 2024 წელი	მიზნობრივი 2025 წელი	მიზნობრივი 2026 წელი	მიზნობრივი 2027 წელი	ცდომილების ალბათობა	შესაძლო რისკები

1	ბენეფიციართა რაოდენობა	შესაბამისი დოკუმენტაცი	1600	1750	არანაკლებ საბაზისო მაჩვენებლის რაოდენობის	არანაკლებ საბაზისო მაჩვენებლის რაოდენობის	არანაკლებ საბაზისო მაჩვენებლის რაოდენობის	50	მომართვიანობა და სხვ.
---	------------------------	------------------------	------	------	---	---	---	----	-----------------------

ქვეპროგრამის დასახელება		სტიქიის, ხანძრის შედეგად დაზარალებულ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ მოქალაქეების დახმარება		
პროგრამული კოდი		06 02 08		
ქვეპროგრამის ბიუჯეტი		150,0		
ფუნქციონალური კოდი		7101		
ქვეპროგრამის განმახორციელებელი		<i>წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია (ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური)</i>		
ქვეპროგრამის აღწერა		<p>აღნიშნული ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია 2024 წელს მომხდარი ხანძრის, სტიქიის - მიწისძვრის, მეწყრის, ჩამოცვენის, ჩამოშლის, ქვათა ცვენის, კარსტული ჩამოქცევის, ღვარცოფის, წყალდიდობის, წვიმის (თოვლის) წყალმოვარდნის, ქარიშხლის, ძლიერი ქარის, გრიგალის, ძლიერი ქარბუქის, დიდთოვლობის, ძლიერი გაყინვის, მსხვილი სეტყვის, ძლიერი წვიმების, ხანგრძლივი წვიმების, კოკისპირული წვიმების, გვალვის, ზვავის, ხანძრის და სხვა ბუნებრივი ან/და ტექნოგენური ან/და საგანგებო ხასიათის მოვლენების შედეგად დაზარალებული, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოქალაქეების კუთვნილ საცხოვრებელ სახლზე (ბინაზე) მიყენებული ზარალის ნაწილობრივი ანაზღაურებისათვის დახმარება განისაზღვრება წელიწადში ერთჯერადად არაუმეტეს - 5000 ლარი.</p> <p>დახმარება ვრცელდება 2023 წლის 1 დეკემბრიდან 2023 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით სტიქიის, ხანძრის შედეგად დაზარალებულებზეც, რომელთაც მიღებული არ აქვთ - „სტიქიის, ხანძრის შედეგად დაზარალებული მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ მოქალაქეთა დახმარება“ 2023 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ერთჯერადი დახმარება.</p>		
ქვეპროგრამის მიზანი		პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარების თანადგომა.		
გაეროს მდგრადი განვითარების „SDG“ მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა		მე-3;		
ქვეპროგრამის განხორციელების ვადები		მიმდინარე		
ქვეპროგრამის მოსალოდნელი შუალედური შედეგი		სტიქიის შედეგად დაზარალებული მოსახლეობის მდგომარეობა გაუმჯობესებულია.		
№	შედეგის შეფასების ინდიკატორი	ინდიკატორის მაჩვენებლები		

		ინდიკატორის დადასტურების საშუალება	საბაზისო 2023 წელი	მიზნობრივი 2024 წელი	მიზნობრივი 2025 წელი	მიზნობრივი 2026 წელი	მიზნობრივი 2027 წელი	ცდომილების ალბათობა	შესაძლო რისკები
1	პროგრამით მოსარგებლეთა რაოდენობა	შესაბამისი დოკუმენტაცია	70	80	არანაკლებ საბაზისო მაჩვენებლის რაოდენობის	არანაკლებ საბაზისო მაჩვენებლის რაოდენობის	არანაკლებ საბაზისო მაჩვენებლის რაოდენობის	8	მომართვიანობა და სხვ.

ქვეპროგრამის დასახელება		გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა	
პროგრამული კოდი		06 02 09	
ქვეპროგრამის ბიუჯეტი		7,0	
ფუნქციონალური კოდი		7109	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი		წყალტუბოს გენდერული თანასწორობის საბჭო	
ქვეპროგრამის აღწერა		<p>გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის პროგრამით მოხდება მუნიციპალიტეტში მცხოვრები ყველა გენდერულად სენსიტიური ჯგუფის - ძალადობის მსხვერპლი და/ან რისკ-ჯგუფის ქალების, მარტოხელა და/ან ქვრივი მშობლების (როგორც ქალის ისე კაცის), განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ახალგაზრდების, სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახების, შშმ პირების, მარტოხელა და ზრუნვის პოლიტიკის საჭიროების მქონე ხანდაზმულების, იკპ პირების საჭიროებების შესწავლა და ამ საჭიროებებზე მორგებული საბიუჯეტო წინადადებების შემუშავება და დანერგვა.</p> <p>პროგრამა ითვალისწინებს გენდერული ცნობიერების ჩამოყალიბებას ინფორმირებას გენდერულ კანონმდებლობაზე, გენდერული ძალადობის წინააღმდეგ არსებულ მექანიზმებზე, სოციალური პარტნიორობის სისტემაზე. იმის გათვალისწინებით, რომ ხელმძღვანელი სტრუქტურების მხრიდან მკაცრდება მოთხოვნები თანასწორობის პოლიტიკაში არსებული გამოწვევების საპასუხოდ, მნიშვნელოვანია, მოხდეს ცალკეულ სფეროებში გენდერული საჭიროებების შესწავლა და შესაბამისი საკითხების გათვალისწინება საბიუჯეტო პროცესის ყველა ეტაპზე: დაგეგმვის, განხორციელების, შეფასების. სადღეისოდ უწყებათაშორისი კომისია მუშაობს ადგილობრივ თვითმმართველობასთან თანამშრომლობის პლატფორმაზე, რასაც საპასუხო ნაბიჯები უნდა მოყვეს ადგილობრივი მუნიციპალიტეტების მხრიდან. მოხდეს გენდერული უთანასწორობის შემცირების მიზნით შესაბამისი გასატარებელი ღონისძიებების მხარდაჭერა ადგილობრივი რესურსებით.</p>	
ქვეპროგრამის მიზანი		გენდერული თანასწორობის შესახებ ცნობიერების ამაღლება, გენდერული საჭიროებების კვლევა	
გაეროს მდგრადი განვითარების „SDG“ მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა		მე-5;	
ქვეპროგრამის განხორციელების ვადები		მიმდინარე	
ქვეპროგრამის მოსალოდნელი შუალედური შედეგი		ინფორმირებულია მიზნობრივი სემინტი გენდერული თანასწორობის შესახებ	
№	შედეგის შეფასების	ინდიკატორის მაჩვენებლები	

ინდიკატორი	ინდიკატორის დადასტურების საშუალება	საბაზისო 2023 წელი	მიზნობრივი 2024 წელი	მიზნობრივი 2025 წელი	მიზნობრივი 2026 წელი	მიზნობრივი 2027 წელი	ცდომილების ალბათობა	შესაძლო რისკები	
1	ჩატარებული აქტივობების რაოდენობა	შესაბამისი დოკუმენტაცია	5	7	არანაკლებ საბაზისო მაჩვენებლის რაოდენობის	არანაკლებ საბაზისო მაჩვენებლის რაოდენობის	არანაკლებ საბაზისო მაჩვენებლის რაოდენობის	3	
2	საზოგადოების მეტი ინფორმირებულობისთვის ბუკლეტების დარიცხვა	შესაბამისი დოკუმენტაცია	150	200	არანაკლებ საბაზისო მაჩვენებლის რაოდენობის	არანაკლებ საბაზისო მაჩვენებლის რაოდენობის	არანაკლებ საბაზისო მაჩვენებლის რაოდენობის	30	

ქვეპროგრამის დასახელება	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის ინდივიდუალური სახლების მშენებლობის ან/და შეძენის ქვეპროგრამა
პროგრამული კოდი	06 02 10
ქვეპროგრამის ბიუჯეტი	400,0
ფუნქციონალური კოდი	7102
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	<i>წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია (ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური)</i>
ქვეპროგრამის აღწერა	ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული სოციალურად დაუცველი (სარეიტინგო ქულა 0-დან 12000-ის ჩათვლით) ოჯახების მცირე ფართიანი ინდივიდუალური სახლების მშენებლობა ან/და შეძენა, რომელთა საცხოვრებელი სახლები დაზიანების ხარისხის მიხედვით საცხოვრებლად უვარგისია, ექვემდებარება დემონტაჟს და არ გააჩნიათ სხვა ალტერნატიული საცხოვრებელი ფართი.
ქვეპროგრამის მიზანი	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული უსახლკარო ოჯახების თანადგომა და მხრდაჭერა
გაეროს მდგრადი განვითარების „SDG“ მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა	
ქვეპროგრამის განხორციელების ვადები	მიმდინარე
ქვეპროგრამის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	სოციალურად დაუცველი უსახლკარო ოჯახები უზრუნველყოფილი არიან საცხოვრებელი პირობებით.

№	შედეგის შეფასების ინდიკატორი	ინდიკატორის მაჩვენებლები							
		ინდიკატორის დადასტურების საშუალება	საბაზისო 2023 წელი	მიზნობრივი 2024 წელი	მიზნობრივი 2025 წელი	მიზნობრივი 2026 წელი	მიზნობრივი 2027 წელი	ცდომილების ალბათობა	შესაძლო რისკები
1	ბენეფიციართა რაოდენობა	შესაბამისი დოკუმენტაცია	4	10	არანაკლებ საბაზისო მაჩვენებლის რაოდენობის	არანაკლებ საბაზისო მაჩვენებლის რაოდენობის	არანაკლებ საბაზისო მაჩვენებლის რაოდენობის	2	მომართვიანობა და სხვ.

ქვეპროგრამის დასახელება		წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვიანი ოჯახების დახმარება						
პროგრამული კოდი		06 02 11						
ქვეპროგრამის ბიუჯეტი		58,0						
ფუნქციონალური კოდი								
ქვეპროგრამის განმახორციელებელი		<i>წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია (ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური)</i>						
ქვეპროგრამის აღწერა		განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვიანი ოჯახების გაძლიერებისა და დახმარების ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდებიან წყალტუბოს მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ბავშვიანი ოჯახები, რომლებიც იმყოფებიან მძიმე სოციალურ-ეკონომიურ მდგომარეობაში და/ან საჭიროებენ დახმარებას. აღნიშნული ქვეპროგრამიდან თითოეულ ოჯახზე გასაცემი თანხის ოდენობა არ აღემატება 2000 ლარს. გასაცემი თანხის ზუსტ ოდენობას განსაზღვრავს შემდგომში ამ კუთხით შექმნილი „სოციალური ღონისძიებების დაფინანსების განმსაზღვრელი კომისია“.						
ქვეპროგრამის მიზანი		მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ოჯახების თანადგომა და მხრდაჭერა						
გაეროს მდგრადი განვითარების „SDG“ მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა								
ქვეპროგრამის განხორციელების ვადები								
ქვეპროგრამის მოსალოდნელი შუალედური შედეგი		გაუმჯობესდა კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ბავშვიანი ოჯახების სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობა.						
№	შედეგის შეფასების ინდიკატორი	ინდიკატორის მაჩვენებლები						
		ინდიკატორის დადასტურების საშუალება	საბაზისო 2023 წელი	მიზნობრივი 2024 წელი	მიზნობრივი 2025 წელი	მიზნობრივი 2026 წელი	მიზნობრივი 2027 წელი	ცდომილების ალბათობა
1	ბენეფიციართა რაოდენობა	შესაბამისი დოკუმენტაციას	25	25	არანაკლებ საბაზისო მაჩვენებლის რაოდენობის	არანაკლებ საბაზისო მაჩვენებლის რაოდენობის	არანაკლებ საბაზისო მაჩვენებლის რაოდენობის	5